საზოგადოებრივი მაუწყებელი

გსურს გახდე პირველი არხის გუნდის წევრი?

გაინტერესებს ახალი მედია?

პირველი არხი აცხადებს კონკურსს **სოციალური მედიის უფროსი მენეჯერის პოზიციაზე**

საზოგადოებრივი მაუწყებელი პოზიციონირებს, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია. ჩვენი მიზნები და ამოცანები მიმართულია იმისკენ, რომ თითოეულ ადამიანს, საზოგადოებას ვემსახუროთ სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდებით.

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

სამუშაოს ლოკაცია: თბილისი, კოსტავას ქუჩა #68

სამუშაო ფუნქციები:

- ორგანიზაციის სოციალური მედიის პლატფორმების მართვის სტრატეგიის შემუშავება (Facebook, Instagram, Twitter, Linkdin, Tiktok);
- სტრატეგიის იმპლემენტაციის უზრუნველყოფა და პერიოდული მონიტორინგის მეშვეობით მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
- სოციალური მედიის გუნდის მართვა;
- სოციალური მედიის გუნდთან და გადაცემების პროდიუსერებთან კომუნიკაციის შედეგად, სოციალური მედიის კონტენტის განსაზღვრა და გეგმის შემუშავება;
- სამუშაო შედეგების შესახებ ანგარიშის მომზადება განსაზღვრული პერიოდულობით;
- ემპირიული დაკვირვებებისა და ანალიტიკური მონაცემების შედეგის მიხედვით, კონტენტის შინაარსისა და ფორმის განსაზღვრა;
- სარეკლამო სტრატეგიის განსაზღვრა; სხვა მედიასაშუალებების სოციალური ქსელების მონიტორინგი;
- უცხოური მედიასაშუალებების ტენდენციების შესწავლა სოციალურ ქსელებში და საუკეთესო პრაქტიკების ადაპტირება ორგანიზაციის სოციალური მედიის მართვისას;
- სოციალურ მედიაში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აუდიტორიის ტენდენციების მუდმივი მონიტორინგი;

კონკურსის ეტაპები:

რეზიუმეების შერჩევა;

გასაუბრება;

დავალების შესრულება.

თუ გაქვთ სურვილი შემოუერთდეთ ჩვენს გუნდს, გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) 2021 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე: vacancy@1tv.ge.

პიროვნული და პროფესიული კომპეტენციები:

- ანალიტიკური და მრავალამოცანიანი სამუშაოს შესრულების უნარი;
- სამუშაო დროის მართვის უნარი;
- გუნდურად მუშაობისა და სხვადასხვა რგოლებთან კოორდინაციის უნარი;
- შემოქმედებითი ხედვა და კონტენტში გადმოტანის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ინიციატივის გამოჩენისა და შედეგებზე ორიენტირებულად მუშაობის უნარი;
- კარგი წერითი უნარი, მესიჯების კონსტრუირება, მოკლედ და კონკრეტულად შინაარსის გადმოცემის უნარი;
- გუნდის სწორად მართვის უნარი და ლიდერობისსაუკეთესო პრაქტიკის ცოდნა;
- დინამიურ გარემოში სწრაფად ადაპტირებისა და სამუშაო პროცესის მართვის უნარი;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში (სოციალური მეცნიერებები, მარკეტინგი, კომუნიკაციები და სხვა);
- სოციალურ მედიაში მუშაობის არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება;
- სატელევიზო ან საინფორმაციო სააგენტოში მუშაობის გამოცდილება პრიორიტეტულია;
- ციფრულ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება;
- მობილური ჟურნალისტიკის პრინციპების ცოდნა;
- გუნდის მართვის გამოცდილება;
- ინგლისური ენის მაღალ დონეზე (წერითი და გრამატიკული) ცოდნა;
- ქართულად გამართულად წერის უნარი;
- Google Analytics, Facebook Analytics-ის მაღალ დონეზე ცოდნა;
- SEO (სამძებრო სისტემების ოპტიმიზაცია) - ზოგადი ცოდნა.

გთხოვთ, სათაურის ველში (subject) მიუთითოთ **„სოციალური მედიის უფროსი მენეჯერი“**

გისურვებთ წარმატებას!